უნივერსიტეტის ლიდერთა სკოლა

ინოვატორული სასწავლო კურსი სტუდენტებისთვის

ეფექტური და პროდუქტიული პროფესიონალის აუცილებელი ჩვევები და საფუძვლები

აუდიტორია: სტუდენტები 18 წლიდან ზემოთ;

სტუდენტების რაოდენობა: 25-50 სტუდენტი;

კურსის მოცულობა: ხანგრძლივობა - 4 თვე; ლექციების რაოდენობა - 18; ტრენინგების რაოდენობა - 18; ლექციის ხანგრძლივობა - 2 ასტ. საათი; ტრენინგის ხანგრძლივობა - 1,5 ასტ. საათი; კვირის მანძილზე გათვალისწინებულია ერთი ლექციისა და ერთი ტრენინგის ჩატარება;

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტებს სწორი კარიერული და პიროვნული ორიენტირის არჩევა / განსაზღვრასა და პიროვნული ეფექტიანობის ჩვევების ჩამოყალიბება / დახვეწაში, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე.

მოკლე აღწერა: სასწავლო კურსი სტუდენტის სუპერვარსკვლავობაზე ორგანიზაციაში, ურთიერთობებში და საზოგადოებაში ითვალისწინებს ახალგაზრდებისთვის სრულ ორიენტაციასა და მათთვის ჯანსაღი მიმართულების მიცემას, რათა მათ შეძლონ გარე, როგორც მტრულ ასევე კეთილგანწყობილ სამყაროსთან წარმატებული ურთიერთობა და გამარჯვება. „კავკასიის ლიდერთა სკოლის“ ამოცანაა, დაეხმაროს მათ ეფექტური პიროვნებისათვის აუცილებელი საფუძვლების ჩამოყალიბებაში, რომ ისინი სრულად იყვნენ მომზადებული ყველაზე კონკურენტული გარემოსთვისთვის. ახალგაზრდები „კავკასიის ლიდერთა სკოლაში“ შეისწავლიან გადაწყვეტილების მიღების ხელოვნებას, ანალიტიკურ აზროვნებას, კონფლიქტის განმუხტვას, გუნდურ გარემოში ოპერირებას, პრობლემების გადაჭრას, კრიტიკული ამოცანის დასახვას, წინამძღოლობას, თვიშემეცნების ხარისხის ზრდას. „უნივერსიტეტის ლიდერთა სკოლა“ მოწოდებულია ახალგაზრდა დინამიური ლიდერების მოსამზადებლად იმ აუცილებელი ჩვევებითა და სტრატეგიული ცოდნით, რომლებიც განასხვავებს უზადო შემსრულებლებს ჩვეულებრივი შემსრულებლებისგან. ეს კურსი არის პრაქტიკული მკვლევარი იმ კრიტიკული სტრატეგიებისა, რაც წარმატებასა და სტაბილურ გამარჯვებას განაპირობებს როგორც საქმიან, ასევე პირად ურთიერთობებში.

სწავლების მეთოდი: სწავლება წარიმართება ლექციებისა და ტრენინგების (სამუშაო ჯგუფური შეხვედრები) მეშვეობით. ლექციები ჩატარდება პრეზენტაციების ფორმატში, ტრენინგები - არაფორმალური განათლების საერთაშორიშო სტანდარტებით დადგენილი

პროცედურებით, სადაც გარემო უზრუნველყოფს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას დისკუსიებში და მის აქტიურ მონაწილეობას სალექციო თემების განხილვაში. კვირაში ერთხელ გაიცემა დავალება, რომლის შესრულებაც, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის ჩამოყალიბებას, სხვადასხვა სახალისო ამოცანების ამოხსნასა და პრეზენტაციების მომზადება/წარმართვას უკავშირდება.

სერტიფიცირება: სერთიფიკატი გაიცემა მხოლოდ იმ სტუდენტეზე, რომლებიც წარმოადგენენ პიროვნული ზრდის პორთფოლიოს (დამაკმაყოფილებლად შესრულებული ყველა მოცემული დავალების კრებული, რეკომენდაციები)

სალექციო თემატიკა

1. მართვის ახალი პარადიგმა, 21-ე საუკუნე - სტრატეგიული ორგანიზებულობის ხანა და დისციპლინის კულტურა, ახალი სტანდარტი - ბრწყინვალება, ცხოვრების ბორბალი;
2. ლიდერის განვითარების ციკლები და მისი 5 საფეხური;
3. პარადოქსული, იანუსისეული აზროვნება, ბრწყინვალე ლიდერის აზროვნების სისტემა;
4. საკუთარი თავის მართვა – ღირებულებისა და ძლიერი მხარის ამოცნობა;
5. პარადიგმები და სუბიექტური რეალობა;
6. მასიური ქმედება = მასიური შედეგი, წარმატების პროცესი, ტვინის ქმედების ანალიზი და მისი გათავისება გარანტირებული შედეგის უზრუნველსაყოფად;
7. სტუდენტის პროდუქტიულობის ფორმულა - P/PC ბალანსი, ემოციური საბანკო ანგარიში, ნდობის რეზერვის შექმნა ურთიერთობებში;
8. მორალური ბიზნეს მენეჯმენტის ხელოვნება - პრინციპებიდან და ფასეულობებიდან მომგებიანობისაკენ;
9. ჩამოაყალიბე შენი ხედვა, მომავლის სურათი. რა გინდა შენი ცხოვრებისგან? მისიის განაცხადი;
10. პრიორიტეტების მართვა და მათი აღსრულების დისციპლინა;
11. კონფლიქტის მართვა, მესამე ალტერნატივა;
12. მოგება-მოგებაზე ორიენტირებული აზროვნების სქემა / სინერგია;
13. ადამიანური ბუნების ოთხი ინტელექტი და მათი განვითარება;
14. მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება-განსაზღვრა - მაისაშვილის მეთოდი;
15. თანამედროვე ლიდერის 6 ტიპი, მათი გამოყენების პრაქტიკული არეალები და სიტუაციური ლიდერობა.